ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №21

24 დეკემბერი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
4. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი;
7. დავით რურუა - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0318344134-03, 10.12.2018).

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0318355197-03, 21.12.2018).

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის სხდომა წარიმართა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიასთან ერთად.

მომხსენებლები:

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **ირინე ხაჩიძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოლიტიკისა და დაგეგმვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

ლ.მიქავა - წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 927 631,5 ათასი ლარით, რაც ბიუჯეტის თავდაპირველ ვერსიასთან მიმართებაში, გაზრდილია 56 000,0 ათასი ლარით.

- სხვა შემოსავლები ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით რჩება უცვლელი და შეადგენს - 190 774,8 ათასი ლარს.
- საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით რჩება უცვლელი და შეადგენს - 658 415,2 ათასი ლარს.
- გრანტები ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით გაიზარდა 50 000,0 ათასი ლარით და შეადგენს - 51 341,5 ათასი ლარს.
- სხვა შემოსავლები ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით რჩება უცვლელი და შეადგენს - 190 774,8 ათასი ლარს.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა განისაზღვრება 98 509,6 ათასი ლარით. მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთებისათვის გათვალისწინებულია 91 387,64 ათასი ლარი, რაც თავდაპირველ წარდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 4 151,1 მლნ ლარით. აქედან, გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში გაზრდილია 2 051,1 ათასი ლარით. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებით წარმოდგენილ ასიგნებებში დაგეგმილია სულ 1128.9 ათასი კვმ გზების კაპიტალური და 565,6 ათასი კვმ გზების მიმდინარე შეკეთება; ტრანსპორტის განვითარების პროგრამა განისაზღვრება 7,1 მლნ ლარით.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება იზრდება 37 568,9 ათასი ლარით და შეადგენს 211 366,6 ათას ლარს.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება განისაზღვრება 88 558,5 ათასი ლარით.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა რჩება უცვლელი და განსაზღვრულია 5 897,0 ათასი ლარით.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება რჩება უცვლელი და განსაზღვრულია 20 648,1 ათასი ლარის ოდენობით.

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა იზრდება 1 223,9 ათასი ლარით და შეადგენს 192 254,6 ათას ლარს. უცვლელი რჩება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა 48 377,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სოციალური დაცვის პროგრამებიდან იზრდება უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში 1 723,9 ათასი ლარით და შეადგენს 18 511,8 ათას ლარს.

- განათლების პრიორიტეტი იზრდება 20 207,3 ათასი ლარით და შეადგენს 179 270,4 ათას ლარს.

- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტი იზრდება 9 974,0 ათასი ლარით და შეადგენს 31 567,4 ათას ლარს.

- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება რჩება უცვლელი და განისაზღვრება 3 608,8 ათასი ლარის ოდენობით.

ი.ზარქუა - სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებში გვაქვს თუ არა ზრდა, უფრო კონკრეტულად სასადილოების მიმართულებით.

ლ.მიქავა - იზრდება უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში 1 723,9 ათასი ლარით და შეადგენს 18 511,8 ათას ლარს. თავდაპირველ წარდგენილ პროექტთან შედარებით იზრდება ბენეფიციართა კვების სავარაუდო ღირებულება 1,18-დან 1,30 ლარამდე.

ი.ზარქუა - იმატებს თუ არა თანხა ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის პრიორიტეტში.

ლ.მიქავა - დიახ, იმატებს.

რ.სოხაძე - სამგორის რაიონში გამაგრებითი სამუშაობის ჩატარების მიზნით გამგეობასთან შეთანხმებით მოხდება 3 მისამართის ჩანაცვლება სხვა მისამართებით, ვინაიდან ამ 3 მისამართზე უფრო მძიმე მდგომარეობაა.

ი.ნადირაძე - მოსაზრებებს და შენიშვნებს ორივე ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარმოვადგენ მას შემდეგ, რაც მომხსენებელი გაგვაცნობს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხსაც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატებს დამატებითი შენიშვნები აღარ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0318344134-03, 10.12.2018)** გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0318355197-03, 21.12.2018).**

თ.ისაკაძე - წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის 170 000,0 ათასი ლარის გამოყოფის საფუძველზე.

ლ.მიქავა - საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი იზრდება და შეადგენს 1 086 863,6 ათას ლარს. ტრანსფერის სახით მიღებული თანხა გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს ემატება (კოდი 01 02 01) 33 784,2 ათასი ლარი, მეტროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ავტობაზების აღდგენა-რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) იზრდება 95 346,0 ათასი ლარით, მათ შორის 79 564,3 ათასი ლარი 220 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენისათვის და 15 781,7 ათასი ლარი მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისათვის; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) იზრდება 5 062,5 ათასი ლარით; საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) იზრდება 2 336,5 ათასი ლარით, მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით;

- არსებული ეკონომიებიდან გამომდინარე, ფულადი დახმარება მიეცემათ 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 ოჯახს.

- იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 42 725,5 ათასი ლარით, მათ შორის სხვადასხვა ტევადობის ნაგავშემკრები ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, ნაგავსაყრელი პოლიგონის

პირველი და მეორე უჯრედის შეფუთვა კონსერვაციის, გაზის შეკრებისა და ნარჩენების უტილიზაციის ღონისძიებებისათვის.

- იზრდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) 15 700,0 ათასი ლარით, საბავშვო ბაგა ბაღების დეკემბრის ხარჯების ანაზღაურების, კაპიტალური ხარჯებისა და ბაგა ბაღების თანამშრომელთა პრემიებისათვის;
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას (კოდი 07 02 07) ემატება 135,0 ათასი ლარი შშმ პირებისათვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შესაძენად.

ი.ნადირაძე - იზრდება თუ არა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები.

ლ.მიქავა - აღნიშნული ხარჯები მცირდება 2 251,5 ათასი ლარით.

ი.ნადირაძე - 2018 წლის დასრულებამდე დარჩა მხოლოდ რამდენიმე დღე, ჩვენ კიდევ ამ დღეებში ვახორციელებთ 17 000, 0 ათასი ლარით ზრდას. კარგად ვიცით, რომ ამ პერიოდში ვერ მოხდება ამ თანხის ათვისება. მოგვიწევს ნაშთის გადატანა მომდევნო წლის ბიუჯეტში. არ უნდა რჩებოდეს არცერთი თეთრი გაუხარჯავი, გამოთავისუფლებული თანხიდან ვითხოვდით სოციალური პრიორიტეტების გაზრდას.

რ.სოხაძე - აღნიშნული ცვლილებების შედეგად მიმდინარეობს იმ პრობლემებზე მუშაობა, რომლებიც წლების განმავლობაში არ გვარდებოდა, მათ შორის ავტოპარკის განახლება.

ი.ნადირაძე - ადასტურებთ თუ არა, რომ მერიის თანამშრომელთა სახელფასო ფონდი იზრდება.

ი.ზარქუა - ბიუჯეტი იზრდება, რაც აისახება შესაბამისი სამსახურების კაპიტალში. იზრდება რიგითი თანამშრომლების ანაზღაურება.

თ.ისაკაძე - ცვლილებები ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან სუბსიდირების ხარჯზე. ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული თანხიდან 79 564,3 ათასი ლარი მოხმარდება 220 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენას. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ავტობუსების ლიზინგზე.

ბ.დავითულიანი - თბილისის 2018 წლის ბიუჯეტმა გადააჭარბა 1 მილიარდ ლარს. თანხას ამ წელს თუ ვერ გავხარჯავთ, გაიხარჯება მომავალ წელს.

გ.გაბაშვილი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან თბილისის ბიუჯეტში თანხის გადმოტანა უნდა მომხდარიყო რამდენიმე თვის წინ, ვინაიდან წლის ბოლო დღეებში ვერ მოხდება თანხის ათვისება. რა თქმა უნდა მისასალმებელია, რომ მოხდება ავტობუსების შესყიდვა, მაგრამ ცუდია, რომ ბოლო 5 დღეში ხდება თანხის გადმოტანა.

რ.სოხაძე - თანხის გადმოტანა მოხდა მაშინ, როდესაც დამთავრდა მოლაპარაკებები.

ბ.დავითულიანი - მიზანი იყო ავტობუსების შეძენა და ავტოპარკის განახლება, აღნიშნული მიზანი მიიღწევა ცვლილებების შედეგად.

ვ.შაქარიშვილი - ივლისში პრემიერმა გამართა პრეზენტაცია სადაც დაანონსდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნებოდა ტრანსფერი თბილისის ბიუჯეტში ავტობუსების შესყიდვის მიზნით.

თ.ისაკაძე - წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურეობა, დედაქალაქში გადაადგილება ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტით იქნება უსაფრთხო, სწრაფი და კომფორტული. განხორციელდება მეტროს ვაგონების და მუნიციპალური ავტობაზების მოდერნიზება, მოხდება ავტობაზების თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა, გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა, განხორციელდება ახალი, თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზის მშენებლობა და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (21.12.2018, 12-0318355197-03), გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

თედო ისაკაძე